MED EL

გაკვეთილების კრებული

02 ჩემი სამზარეულო

hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების კრებული

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. სამზარეულოს ნივთები

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. გააკეთე მზარეულის ქუდი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. მზარეულის საქმეები

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ჩემი სამზარეულო: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სამზარეულოს ნივთები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სამზარეულოს გამოყენებული საგნები	• აკეთებს სამზარეულოს ნივთების აღნიშვნას • იყენებს რამდენიმე ზმნას: დაჭრა, დალევა, ჭამა	• ესმის „იგივეს“ კონცეფცია
ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2	• ითვისებს წიგნს • ახდენს გოგოს/ბიჭის იდენტიფიცირებას	• იმეორებს გადმოცემული ტექსტის 1-2 სიტყვას	• მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში
გააკეთე მზარეულის ქუდი **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3	• მიჰყვება მითითებებს კონტექსტში	• იყენებს რამდენიმე ზმნას: დაჭრა/დაკეცვა/ დახურვა/ მოხდა	• მონაწილეობს როლურ თამაშში
მზარეულის საქმეები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ამოჭრა • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 გარეცხვა • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ქუდები • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 საკვები • ჩემი სამზარეულო დ1 ა4 ზმნები	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, გარეცხვა • ითვისებს ერთ საგანს: საკვები	• გამოთქვამს ერთ ზმნას • გამოთქვამს ერთ საკვებ პროდუქტს	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი სამზარეულო: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სამზარეულოს ნივთები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა1 • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა1 ღილები.	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · სამზარეულოს გამოყენებული საგნები	• აკეთებს სამზარეულოს ნივთების აღნიშვნას • იყენებს რამდენიმე ზმნას: დაჭრა, დალევა, ჭამა	• ესმის, რომ ადამიანებს აქვთ საყვარელი ფერები
ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2	• პოულობს ციფრებს • ითვისებს წიგნს	• იმეორებს გადმოცემული ტექსტის 2-3 სიტყვას	• მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში
გააკეთე მზარეულის ქუდი **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3	• მიჰყვება მარტივ ინსტრუქციებს	• აერთიანებს ზმნა + ქაღალდი • იყენებს თანდებულებს: -ზე, გასწვრივ, ერთად	• როლურ თამაშში იყენებს სალაპარაკო ენას
მზარეულის საქმეები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ამოჭრა • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 გარეცხვა • ჩემი სამზარეულო L2 L3 A4 მომზადება • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ქუდები • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 საკვები • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა4 ზმნები	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: ზმნა+ საკვები	• გამოთქვამს ზმნას + საკვებს	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი სამზარეულო: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სამზარეულოს ნივთები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა1 • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა1 ღილები.	• ახდენს საგნების იდენტიფიცირებას მისი დანიშნულების აღწერიდან. • ესმის რიგითობის და ადგილმდებარეობის სიტყვების კონცეფცია: ზედა/ქვედა/მეორე/შუა	• აკეთებს სამზარეულოს ნივთების აღნიშვნას • აყალიბებს საგნის აღწერილობას მისი დანიშნულების გამოყენებით	• იყენებს სტატიკურ ზმნებს: ფიქრი, გამოცნობა, დამახსოვრება
ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2	• ხვდება თანმიმდევრობის სიტყვებს: წინ/შემდეგ	• იმეორებს ტექსტის 4-5 სიტყვას	• საუბრობს რეალობაზე და სიმულაციაზე
გააკეთე მზარეულის ქუდი **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3	• მიჰყვება რთულ ინსტრუქციებს	• იძლევა მითითებებს რთული ზმნისგან შემდგარი ფრაზების გამოყენებით	• როლურ თამაშში ფიგურალურად იყენებს სალაპარაკო ენას
მზარეულის საქმეები **რესურსები** • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ამოჭრა • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 გარეცხვა • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა4 მომზადება • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 ქუდები • ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა4 საკვები • ჩემი სამზარეულო დ2 დ3 ა4 ზმნები • ჩემი სამზარეულო დ3 ა4 ადამიანები	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: ადამიანი + ზმნა + საგანი	• გამოთქვამს ადამიანის + ზმნის + საგნის კომბინაციას • იყენებს მოდალურ ზმნას: უნდა	• ახდენს პროგნოზირებას და საუბრობს იმაზე, თუ რას ხედავენ ან ვერ ხედავენ ადამიანები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სამზარეულოს ნივთები

მომზადება

ამობეჭდეთ დ1 ა1 2 ეგზემპლარად.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 ა1
- მაკრატელი

თქვენ აპირებთ სურათის დამთხვევის თამაშს.

1. ბავშვთან ერთად ბარათებად დაჭერით სამზარეულოს ნივთების ერთი ეგზემპლარი.
2. დაჭრის დროს ისაუბრეთ თითოეულ ნივთზე.
3. შეაგროვეთ ყველა ბარათი ერთ ადგილას, აურიეთ და დაალაგეთ მაგიდაზე გამოსახულებით ქვემოთ.
4. მოათავსეთ სამზარეულოს ნივთების მეორე დაუჭრელი ეგზემპლარი მაგიდის შუაში.
5. აიღეთ ერთი ბარათი, დამალეთ სურათი და ისაუბრეთ იმაზე, თუ რა არის ის.
6. წაახალისეთ ბავშვი (და მშობელი/აღმზრდელი), რომ სცადოს მისი პოვნა დაუჭრელ ეგზემპლარზე.
7. როდესაც სურათი ნაპოვნია, დაადეთ ბარათი შესაბამის სურათზე.
8. მორიგეობით აიღეთ ბარათი და ისაუბრეთ მასზე.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სამზარეულოში გამოყენებული საგნები; მაგალითად, ჯამი, ჭიქა, ჩანგალი.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული, მაგრამ მოერიდეთ მხოლოდ ერთი სიტყვის თქმას. მოსმენის სწავლისას, ბავშვები პირველ რიგში ყურადღებას აქცევენ გაგონილ ბოლო სიტყვას, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მას ესმოდეს სიტყვა კონტექსტში. ამიტომ, ჩასვით ახალი სიტყვა მოკლე ფრაზის ბოლოში. მე მაქვს ჭიქა. ეს არის ჩანგალი. ეს არის ჯამი.

სმენითი სენდვიჩი: თქვით მოკლე წინადადება ან ფრაზა და შემდეგ დაელოდეთ ბავშვის პასუხს. თქვით კიდევ ერთხელ, შემდეგ გააკეთეთ პაუზა და შესთავაზეთ ბავშს სწრაფად გადახედოს ბარათს, შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორეთ და წაახალისეთ ბავშვი რომ იპოვოს შესატყვისი სურათი.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა.
- აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როგორც კი ბავშვი მიხვდება რუტინას, რომ ყველა რიგრიგობით საუბრობს ბარათზე, შესთავაზეთ ბავშვს ბარათების დასტა და დაელოდეთ სანამ ის ეცდება თავის სურათზე საუბარს.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: ამ ეტაპზე მათი მეტყველება შესაძლოა არ იყოს ძალიან მკაფიო, მაგრამ სავარაუდო მნიშვნელობის გამოცნობით თქვენ დაეხმარებით ბავშვს შეისწავლოს საკუთარი სიტყვების ძალა. გამოიცანით (ან ჩუმად შეხედეთ ბარათს), ხოლო შემდეგ მიაწოდეთ უფრო ზუსტი მოდელი, რათა დაეხმაროთ ბავშვს განავითაროს საკუთარი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:. ოჰ, მე მგონი შენ თქვიჭიქა. შენ გაქვს ჭიქა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჭიქა. დედა შეგიძლია დამეხმარო და ვაპოვნინო ჭიქა?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის „იგივეს“ კონცეფცია

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ყოველი ბარათის თავის შესატყვის სურათზე დადებისას, ხაზი გაუსვით სიტყვას „იგივე“. საწყის პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის, ჩასვით ეგ სიტყვა წინადადების ბოლოში. დიახ, ისინი ერთი და იგივეა. როდესაც პირველ დონეზე მყოფი ბავშვი გახდება უფრო თავდაჯერებული მსმენელი, ჩასვით სიტყვა „იგივე“ წინადადების შუაში. ეს იგივეჭიქაა. ეს ეტაპი დაეხმარება პირველ დონეზე მყოფ ბავშვს განავითაროს ის უნარები, რომელიც საჭიროა მოსმენის მეორე დონეზე გადასასვლელად.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სამზარეულოს ნივთები

მომზადება

ამობეჭდეთ 2 ეგზემპლარად - d2 d3 a1 და ღილები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ღილები და დაალაგეთ ფერების და მიხედვით დასტებად.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო d2 d3 a1
- ჩემი სამზარეულო d2 d3 a1 ღილები.
- მაკრატელი

თქვენ აპირებთ სწრაფი ხელების თამაშს.

1. თითოეული მოთამაშე ირჩევს ღილების დასტას, როგორც თავის აღმნიშვნელებს.
2. ბავშვთან ერთად ბარათებად დაჭერით სამზარეულოს ნივთების ერთი ეგზემპლარი.
3. დაჭრის დროს ისაუბრეთ თითოეულ ნივთზე.
4. შეაგროვეთ ყველა ბარათი ერთ ადგილას, აურიეთ და დაალაგეთ მაგიდაზე გამოსახულებით ქვემოთ.
5. მოათავსეთ სამზარეულოს ნივთების მეორე დაუჭრელი ეგზემპლარი მაგიდის შუაში.
6. ამ რაუნდში თქვენ მოსაუბრე ხართ. დანარჩენი მოთამაშეები იქნებიან მპოვნელები. მოსაუბრე იღებს სამზარეულოს ნივთის ორ ბარათს, მაგრამ მალავს სურათს.
7. მპოვნელები იღებენ 2 ღილს და ემზადებიან „სამზარეულოში“ ნივთების საპოვნელად.
8. მოსაუბრე ამბობს “იპოვეთ …… და …..”
9. მპოვნელები უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს ნივთებზე ღილების დადებაში.
10. მორიგეობით იყავით მოსაუბრე.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: სამზარეულოში გამოყენებული საგნები; მაგალითად, ჯამი და ჭიქა.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ორი ნივთის მოსმენა შეიძლება იყოს ბავშვისთვის რთული ამოცანა, რადგან თამაში შეიძლება მოიცავდეს ახალ სიტყვებს. ბარათების ამოჭრისას, წინასწარ შეამზადეთ და ასწავლეთ სიტყვებიაკუსტიკური აქცენტირებისგამოყენებით ბავშვს უადვილდება მოსმენილიდან ბოლო საგნის დამახსოვრება, ამიტომ პირველი სიტყვა ოდნავ ხმამაღლა და ნელა წარმოთქვით, რათა დაეხმაროთ ბავშვს მასზე ყურადღების გამახვილებაში.

სმენითი სენდვიჩი: შესაძლოა, ბავშვს მხოლოდ ერთი ნივთის დამახსოვრება შეუძლია. წაახალისეთ, რომ ეჭიროს ორივე ღილი, სანამ ორივე არ ეცოდინება. კიდევ ერთხელ გაიმეორეთ ორი საგანი და შემდეგ შესთავაზეთ ბავშვს სწრაფად გადახედოს მის მიერ გამოტოვებულ საგანს. ორივეს გამეორებით, კიდევ ერთხელ მოასმენინეთ ბავშვს და წაახალისეთ, რომ დადოს თავისი ღილები შესაბამის ადგილებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს სამზარეულოს ნივთების აღნიშვნას მაგალითად: ჯამი და ჭიქა.
- იყენებს რამდენიმე ზმნას: დაჭრა, დალევა, ჭამა.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როგორც კი ბავშვი მიხვდება რუტინას, რომ ყველა რიგრიგობით საუბრობს ბარათზე, შესთავაზეთ ბავშვს ბარათების დასტა და დაელოდეთ სანამ ის ეცდება თავის სურათზე საუბარს.

გავრცობა და განგრძობა: გაიმეორეთ ბავშვის სიტყვები, გრამატიკულად სწორი ფორმით, მის მიერ გამოტოვებული სიტყვების დამატებით. დროზე დედა, ჩვენ უნდა ვიპოვოთ… ჯამიდა ჭიქა.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანებს აქვთ საყვარელი ფერები

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: იმის გაცნობიერება, რომ ადამიანებს სხვადასხვა რამ მოსწონს, არისგონების თეორია. თქვენი ღილების არჩევისას, ისაუბრეთ თქვენს საყვარელ ფერზე და ჰკითხეთ სხვებს მათი საყვარელი ფერების შესახებ. ჩამოაყალიბეთ შესაბამისი სალაპარაკო ენის მოდელი მაშინ, როდესაც თქვენ არ შეგხვდებათ თქვენი საყვარელი ფერის ღილი. ოჰ, მიყვარს ყვითელი, მაგრამ ის ამჯერად შენ შეგხვდა. შემდეგში შეიძლება მე შემხვდეს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სამზარეულოს ნივთები

მომზადება

ამობეჭდეთ 2 ეგზემპლარად - d2 d3 a1 და ღილები პატარა ბარათებზე. ამოჭერით ღილები და დაალაგეთ ფერების და მიხედვით დასტებად.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო d2 d3 a1
- ჩემი სამზარეულო d2 d3 a1 ღილები.
- მაკრატელი

თქვენ აპირებთ სწრაფი ხელების თამაშს.

1. თითოეული მოთამაშე ირჩევს ღილების დასტას, როგორც თავის აღმნიშვნელებს.
2. ბავშვთან ერთად ბარათებად დაჭერით სამზარეულოს ნივთების ერთი ეგზემპლარი.
3. დაჭრის დროს ისაუბრეთ თითოეულ ნივთზე.
4. შეაგროვეთ ყველა ბარათი ერთ ადგილას, აურიეთ და დაალაგეთ მაგიდაზე გამოსახულებით ქვემოთ.
5. მოათავსეთ სამზარეულოს ნივთების მეორე დაუჭრელი ეგზემპლარი მაგიდის შუაში.
6. ამ რაუნდში თქვენ მოსაუბრე ხართ. დანარჩენი მოთამაშეები იქნებიან მპოვნელები. მოსაუბრე იღებს სამზარეულოს ნივთის ბარათს, მაგრამ მალავს სურათს.
7. მპოვნელები იღებენ ღილს და ემზადებიან „სამზარეულოში“ ნივთის საპოვნელად.
8. მოსაუბრე აღწერს საგანს და საუბრობს მის დანიშნულებაზე.
9. მპოვნელები უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს ნივთებზე ღილების დადებაში.
10. მორიგეობით იყავით მოსაუბრე.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს საგნების იდენტიფიცირებას მისი დანიშნულების აღწერიდან; მაგალითად, შეგიძლია გამოიყენო იგი საჭმელად და მოსარევად.
- ესმის რიგითობის და ადგილმდებარეობის სიტყვების კონცეფცია: ზედა/ქვედა/მეორე/შუა/მარცხნივ/მარჯვნივ

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ზოგიერთი ამ საგნებიდან შეიძლება ბავშვისთვის უცხო იყოს. აღწერისას შესაძლოა დაგჭირდეთ ინფორმაციის დამატება, თუ სად მდებარეობს იგი ამ ფურცელზე. დაამატეთ საჭიროზე მეტი ინფორმაცია, რათა დაეხმაროთ მესამე დონეზე მყოფ ბავშვს ივარჯიშოს ზედმეტი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი მინიშნებების გამოყოფაზე. მე მაქვს ეს ნივთი ჩემს სამზარეულოში. მე მას მაკარონის მომზადებისას ვიყენებ. მე მიყვარს მაკარონი. მე მასში მოხარშულ მაკარონს ვასხამ. ის მეხმარება წყლის გადაწურვაში, ის მეორე ქვედა რიგშია.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს სამზარეულოს ნივთების აღნიშვნას.
- აყალიბებს საგნის აღწერილობას მისი დანიშნულების გამოყენებით.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როგორც კი ბავშვი მიხვდება რუტინას, რომ ყველა რიგრიგობით საუბრობს ბარათზე, შესთავაზეთ ბავშვს ბარათების დასტა და დაელოდეთ სანამ არ დაიწყებს სურათის შესახებ მინიშნებების გაკეთებას. შეახსენეთ ბავშვს, რომ არ დაასახელოს საგანი, მხოლოდ გააკეთოს მინიშნებები.

გავრცობა და განგრძობა: გაიმეორეთ ბავშვის სიტყვები, გრამატიკულად სწორი ფორმით, მის მიერ გამოტოვებული სიტყვების დამატებით. ოჰ, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ის, რასაც ვიყენებთ საჭმლის ცივად შესანახად.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს სტატიკურ ზმნებს: ფიქრი, გამოცნობა, დამახსოვრება

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სტატიკური ზმნები ხელს უწყობს გონების თეორიის განვითარებას, ეხმარება ბავშვს გაიგოს, რომ ადამიანებმა იციან, იგებენ და იმახსოვრებენ სხვადასხვა საგნებს. კარგი, გამოვიცნობ. მე მგონიეს არის ცოცხი. მე მახსოვს შენ მითხარი, რომ ეხმარები დედას სახლში იატაკის მოგვაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სამზარეულოს ნივთები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სამზარეულოს ნივთები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სამზარეულოს ნივთები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. იმისათვის, რომ პატარა ზომის გამოვიდეს, ამობეჭდეთ ოთხი სურათი ერთ გვერდზე.
თითოეული გვერდი დაჭერით ოთხად. შეკარით ოთხი დასტა.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი
- სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ წიგნი „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნებზე" და შემდეგ წაიკითხოთ იგი.

1. აიღეთ სათაურის გვერდი.
2. ბავშვთან ერთად მოძებნეთ პირველი გვერდი და დადეთ სათაურის გვერდის უკან.
3. გააკეთეთ იგივე ყველა გვერდისთვის და შემდეგ დაასტეპლერეთ წიგნი.
4. ისაუბრეთ ყდაზე არსებულ სურათზე „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები"; ერთი ბიჭია, მეორე გოგო.
5. ისაუბრეთ პირველ გვერდზე მოცემულ ყველა ინგრედიენტზე, რომელიც საჭიროა ჯანჯაფილის თაფლაკვერის დასამზადებლად.
6. მეორე გვერდიდან დაწყებული, ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან ერთად, რიგრიგობით ისაუბრეთ წიგნის თითოეულ გვერდზე.
7. წაახალისეთ ბავშვი თითო გვერდიდან გაიმეოროს ერთი სიტყვა (ან ორი).
8. ისაუბრეთ ბოლო სახალისო გვერდზე და „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნების" გაქცევაზე. გაითამაშეთ, თითქოს ცდილობთ ერთ-ერთის დაჭერას და შეჭმას.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს გოგოს/ბიჭის იდენტიფიცირებას.
- ითვისებს წიგნს.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: თითოეული სურათის აღნიშვნამდე, ჯერ ისაუბრეთ მასზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს აითვისოს აუდიტორული შემავალი ინფორმაცია, სანამ მოახდენს ფოკუსირებას ვიზუალურ ინფორმაციაზე. გაკვეთილის მიმდინარეობისას სქესზე მითითებით დაეხმარეთ გოგო და ბიჭის სიტყვების განმტკიცებაში; მამაბიჭია. შენ ხარ გოგო. დედა არის გოგო.

აკუსტიკური აქცენტირება: ამ წიგნის და ასევე სხვა საბავშვო წიგნების ტექსტი შეიძლება ზედმეტად რთული აღმოჩნდეს პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის. დაეხმარეთ ბავშვს გააცნობიეროს ჯანჯაფილის თაფლაკვერის დამზადების ხერხი, ფრაზებისა და წინადადებების სამიდან ოთხ სიტყვამდე გამარტივებით. მოახდინეთ ერთი სიტყვის აკუსტიკური აქცენტირება თითოეულ წინადადებაში. ჩადე კარაქი. და სიროფი. ჯამში.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს გადმოცემული ტექსტის 1-2 სიტყვას; მაგალითად. ჯამში.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: ყოველი გვერდის დასაწყისში, გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, რათა შეამზადოთ ბავშვი მოსასმენად და მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩასამატებლად, რომელიც ბავშვს დაეხმარება გაიგოს რა ხდება მოთხრობაში. გატეხეკვერცხი. გააბრტყელე, გააბრტყელე, გააბრტყელე. გააბრტყელე ცომი.

გავრცობა და განგრძობა: როდესაც ბავშვი იყენებს ერთ სიტყვას, გაიმეორეთ და დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. დიახ, ჩვენჩავდებთამას ჯამში.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: როდესაც გახვალთ წიგნის ბოლოში, უნდა ახსნათ თუ რა ხდება. წარმოსახვითი თამაშის მოწყობისას, წაახალისეთ ბავშვი გაერთოს და შემოგიერთდეთ ჯანჯაფილის თაფლაკვერის ადამიანის „დაჭერის" მცდელობაში. ოჰ, ისინი გარბიან. მე ვაპირებ ერთ-ერთის დაჭერას. (დაადეთ ხელი ფურცელს) აი დედა, სცადე და დაიჭირე ერთ-ერთი. ეხლა შენ სცადე და მეორე დაიჭირე .

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. იმისათვის, რომ პატარა ზომის გამოვიდეს, ამობეჭდეთ ოთხი სურათი ერთ გვერდზე.
თითოეული გვერდი დაჭერით ოთხად. შეკარით ოთხი დასტა.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი
- სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ წიგნი „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნებზე" და შემდეგ წაიკითხოთ იგი.

1. აიღეთ სათაურის გვერდი.
2. ბავშვთან ერთად მოძებნეთ პირველი გვერდი და დადეთ სათაურის გვერდის უკან.
3. გააკეთეთ იგივე ყველა გვერდისთვის და შემდეგ დაასტეპლერეთ წიგნი.
4. ისაუბრეთ ყდაზე არსებულ სურათზე „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები"; ერთი ბიჭია, მეორე გოგო.
5. ისაუბრეთ პირველ გვერდზე მოცემულ ყველა ინგრედიენტზე, რომელიც საჭიროა ჯანჯაფილის თაფლაკვერის დასამზადებლად.
6. მეორე გვერდიდან დაწყებული, ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან ერთად, რიგრიგობით ისაუბრეთ წიგნის თითოეულ გვერდზე.
7. წაახალისეთ ბავშვი თითო გვერდიდან გაიმეოროს ერთი სიტყვა (ან ორი).
8. ისაუბრეთ ბოლო სახალისო გვერდზე და „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნების" გაქცევაზე. გაითამაშეთ, თითქოს ცდილობთ ერთ-ერთის დაჭერას და შეჭმას.

მოსალოდნელი შედეგები

- პოულობს ციფრებს.
- ითვისებს წიგნს.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: წიგნის პირველ გვერდზე მიუთითეთ ციფრს ერთი და წაახალისეთ ბავშვი, რომ მოძებნოს გვერდი ციფრით ორი. როდესაც შეაგროვებთ ოთხ დასტას, თითეული დასტის თავზე უნდა ჩანდეს 2, 3, 4, 5. თერთმეტივე გვერდის გამოჩენით ამოცანაც უფრო გაადვილდება.

აკუსტიკური აქცენტირება: ამ წიგნის და ასევე სხვა საბავშვო წიგნების ტექსტი შეიძლება ზედმეტად რთული აღმოჩნდეს მეორე დონეზე მყოფი ბავშვისთვის. დაეხმარეთ ბავშვს გააცნობიეროს ჯანჯაფილის თაფლაკვერის დამზადების ხერხი, ფრაზებისა და წინადადებების სამიდან ოთხ სიტყვამდე გამარტივებით. მოახდინეთ ერთი სიტყვის აკუსტიკური აქცენტირება თითოეულ წინადადებაში. ჩვენ გვჭირდება კარაქი და სიროფი. ჩადე ისინი ჯამში.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს გადმოცემული ტექსტის 2-3 სიტყვას; მაგალითად. ჯამში.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: ყოველი გვერდის დასაწყისში, გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, რათა შეამზადოთ ბავშვი მოსასმენად და მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩასამატებლად, რომელიც ბავშვს დაეხმარება გაიგოს რა ხდება მოთხრობაში. იიფფფ. ჩვენ ვისწავლით ჯანჯაფილის თაფლაკვერის კეთებას.

გავრცობა და განგრძობა: რომც შეეძლოს ბავშვს გამეორება, დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. დიახ, ჩვენჩავდებთამას ჯამში.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაწილეობს წარმოსახვით თამაშში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: როდესაც გახვალთ წიგნის ბოლოში, უნდა ახსნათ თუ რა ხდება. წარმოსახვითი თამაშის მოწყობისას, წაახალისეთ ბავშვი გაერთოს და შემოგიერთდეთ ჯანჯაფილის კაცუნას „დაჭერის" მცდელობაში. ოჰ, ისინი გარბიან. მე ვაპირებ ერთ-ერთის დაჭერას. (დაადეთ ხელი ფურცელს) აი დედა, სცადე და დაიჭირე ერთ-ერთი. ეხლა შენ სცადე და მეორე დაიჭირე . ოოო, იიფფფ. ერთი დავიჭირე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. იმისათვის, რომ პატარა ზომის გამოვიდეს, ამობეჭდეთ ოთხი სურათი ერთ გვერდზე.
თითოეული გვერდი დაჭერით ოთხად. შეკარით ოთხი დასტა.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი
- სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ წიგნი „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნებზე" და შემდეგ წაიკითხოთ იგი.

1. აიღეთ სათაურის გვერდი.
2. ბავშვთან ერთად მოძებნეთ პირველი გვერდი და დადეთ სათაურის გვერდის უკან.
3. გააკეთეთ იგივე ყველა გვერდისთვის და შემდეგ დაასტეპლერეთ წიგნი.
4. ისაუბრეთ ყდაზე არსებულ სურათზე „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები"; ერთი ბიჭია, მეორე გოგო.
5. ისაუბრეთ პირველ გვერდზე მოცემულ ყველა ინგრედიენტზე, რომელიც საჭიროა ჯანჯაფილის თაფლაკვერის დასამზადებლად.
6. მეორე გვერდიდან დაწყებული, ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან ერთად, რიგრიგობით ისაუბრეთ წიგნის თითოეულ გვერდზე.
7. წაახალისეთ ბავშვი თითო გვერდიდან გაიმეოროს ერთი სიტყვა (ან ორი).
8. ისაუბრეთ ბოლო სახალისო გვერდზე და „ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნების" გაქცევაზე. გაითამაშეთ, თითქოს ცდილობთ ერთ-ერთის დაჭერას და შეჭმას.

მოსალოდნელი შედეგები

- ხვდება თანმიმდევრობის სიტყვებს: წინ/შემდეგ

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: წიგნის ერთად წაკითხვის შემდეგ, გადაშალეთ იგი ნებისმიერ გვერდზე. ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ სწავლობთ წიგნიდან ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნების კეთებას. გახსოვთ როგორ უნდა გააკეთოთ ისინი? განმეორებით გადაიკითხეთ გვერდი და შემდეგ ისაუბრეთ იმაზე, თუ რა იყო ამ გვერდის წინ (ან შემდეგ). გამოიყენეთ<u>აკუსტიკური აქცენტირება</u> თანმიმდევრობის სიტყვაზე, რათა გაამახვილოთ მასზე ყურადღება. ჰმმმ, დაიწყეთ ჯანჯაფილის თაფლაკვერი ლანგარზე. რას ვაკეთებთ სანამ ჯანჯაფილის თაფლაკვერი ლანგარზე დავაწყობთ?

ყურადღებით მოუსმინე: დასვით კითხვა და <u>დაელოდეთ</u>, რომ ბავშვმა დაამუშავოს ის და სცადოს გამოცნობა, რის შემდეგაც უკან გადაშალეთ გვერდი გადასამოწმებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ტექსტის 4-5 სიტყვას.

ძირითადი სტრატეგიები

გავრცობა და განგრძობა: რომც შეეძლოს ბავშვს გამეორება, დაამატეთ კიდევ ერთი ან ორი სიტყვა, რათა უზრუნველყოთ შემდეგი დონის მეტყველების მოდელი. დაამატე შაქარი და კვერცხიდა კარგად მოურიე.

წიგნები, წიგნები, წიგნები: მიუხედავად იმისა, რომ თვალყურის დევნა (ტექსტიდან სიტყვების გამეორება) სმენითი აქტივობაა, ტექსტში სიტყვებზე ყურადღების მიქცევით, თქვენ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ ბავშვის წერაკითხვის უნარის განვითარებას, რითაც დაეხმარებით მას გააცნობიეროს, რომ წერილობით სიტყვებს და სალაპარაკო სიტყვებს აქვთ იგივე მნიშვნელობა. ეს არის ინგრედიენტები. ეს არის სიტყვა - კარაქი. შეგიძლია იპოვო კარაქის სურათი?

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს რეალობაზე და სიმულაციაზე.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: როდესაც გახვალთ წიგნის ბოლოში, ისაუბრეთ იმაზე, თუ რა ხდება. წარმოსახვითი თამაშის მოწყობისას, წაახალისეთ ბავშვი გაერთოს და შემოგიერთდეთ ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნას „დაჭერის" მცდელობაში, შემდეგ ისაუბრეთ, შეეძლო თუ არა თქვენი აზრით ჯანჯაფილის თაფლაკვერს მართლა წამოხრომა და ლანგრიდან გაქცევა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ინგრედიენტები

125 გრ (1/2) კარაქი
2 სუფრის კოვზი ოქროსფერი სიროფი
1 კოვზი შაქარი
1 კვერცხი, ათქვეფილი
2 1/2 ჭიქა ფქვილი
1 ჩაის კოვზი ცომის გასაფხვიერებელი.
1/4 ჩაის კოვზი მარილი
2 ჩაის კოვზი დაფქული ჯანჯაფილი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



ჩადეთ კარაქი და სიროფი ჯამში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

მოათავსეთ ჯამი მიკროტალღურ ღუმელში და მოამზადეთ 30 წამის განმავლობაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

დაამატე შაქარი და კვერცხი და კარგად მოურიეთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



დაამატეთ ფქვილი, მარილი, ცომის გასაფხვიერებელი და ჯანჯაფილი და კვლავ მოურიეთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



გააბრტყელეთ ცომი და ამოჭერით ფორმები.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



დააწყეთ ჯანჯაფილის თაფლაკვერის კაცუნები ლანგარზე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



გამოაცხეთ ღუმელში 12 წუთის განმავლობაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020



გაციების შემდეგ
მორთეთ ისინი
სარკალით.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ახლა ისინი
მზადაა საჭმელად.
თუ შეძლებ მათ
დაჭერას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთე მზარეულის ქუდი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის ორი ეგზემპლარი ყველა იმ მონაწილესთვის, ვისაც უნდა მზარეულის ქუდის გაკეთება.

თქვენ აპირებთ მზარეულის ქუდის ერთად გაკეთებას.

1. დაეხმარეთ ბავშვს ხაზზე გაასწოროთ ქაღალდის ბოლოების ორი ნაწილი (ტექსტით ზემოთ).
2. აჩვენეთ ბავშვს როგორ წაუსვას წებო ერთ ბოლოში და შესაერთებლად დაადოთ ერთმანეთს ორი ნაწილი.
3. მოატრიალეთ შეერთებული გვერდები და გადაკეცეთ შუა ხაზის გასწვრივ.
4. დაეხმარეთ ბავშვს ყოველი ხაზის გასწვრივ გაჭრაში, რომელიც აღინიშნება როგორც „2. გაჭერით“
5. დაახვიეთ ქაღალდი, გაჭერით მისი ზედა მხარე ბავშვის თავის გარშემო, დაამთხვიეთ და მჭიდროდ მოარგეთ კიდეები.
6. დაამაგრეთ წებოვანი ლენტით.
7. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს ინსტრუქციები თითოეული მონაწილესთვის.
8. დაიტოვეთ თქვენი ქუდები შემდეგი აქტივობისთვის.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი
- წებო
- წებოვანი ლენტი

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს კონტექსტში; მაგალითად, წაუსვი ცოტა წებო. გადმოატრიალე. დამეხმარე დაკეცვაში.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ყოველი ქუდის გაკეთებისას, აწყობის ყოველ პუნქტში ბავშვი მოისმენს ერთი და იგივე ინსტრუქციებს. ისინი დაიწყებენ მოქმედებების თანიმდევრობის პროგნოზირებას და ეს დაეხმარება მათ ფრაზებისთვის მნიშვნელობის მინიჭებაში. ყოველ გამეორებაზე უზრუნველყავით მარტივი და თანმიმდევრული ფრაზები.

ყურადღებით მოუსმინე: მას შემდეგ, რაც მისცემთ ბავშვს ინსტრუქციებს და ვიდრე დაამატებთ ვიზუალურ მინიშნებებს, მიეცით დრო მოსაფიქრებლად, იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს ინფორმაციის გადამუშავება მოსმენის გზით, ხოლო როდესაც მისთვის ცნობილი ხდება მოქმედების თანიმდევრობა, მას შეეძლება დამოუკიდებლად მიჰყვეს ინსტრუქციებს. შეაერთე ორი ნაწილი (დაელოდეთ). ახლა წაუსვი წებო. (დაელოდეთ) გადმოატრიალე. (დაელოდეთ). ახლა გააკეთე დიდი ნაკეცი. (დაელოდეთ) ახლა შეგიძლია გაჭრა.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს რამდენიმე ზმნას: დაჭრა/დაკეცვა/ დახურვა/ მოხდა

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: მიაწოდეთ ბავშვს მიმართულების სწრაფი მოდელი, რომელსაც უნდა მოუსმინოს, ბოლოში დაურთეთ ძირითადი ზმნა. შემდეგ კვლავ გაიმეორეთ, იმისათვის, რომ ბავშვმა დააკოპიროს და გადასცეს თავის მშობელს/აღმზრდელს მითითებები. ამჯერად, ბოლო სიტყვის წინ გაჩერდით მზარდი ინტონაციით და ნახეთ, შეუძლია თუ არა ბავშვს ბოლო სიტყვის დასრულება. დედამ უნდა გააკეთოს დიდი ნაკეცი. უთხარი დედას: გააკეთე დიდი…

საბოტაჟი: როდესაც მოვა დაჭრის დრო, მიაწოდეთ ბავშვს წებო ან წებოვანი ლენტი. ამით წარმოიქმდება სიტუაცია, სადაც ბავშვს პრობლემის გადასაჭრელად დასჭირდება კომუნიკაცია.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაწილეობს როლურ თამაშში.

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: მას შემდეგ რაც ყველას გეხურებათ თქვენი ქუდები, დაიწყეთ წარმოსახვითი თამაში მზარეულის როლში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ვითომ ჯამში ურევთ წარმოსახვითი კოვზით და ჭრით წარმოსახვითი დანით ან აბრტყელებთ ცომს ან რეცხავთ ბრინჯს. თამაშის დროს დაამატეთ მარტივი ენის მოდელები. როდესაც ბავშვის ჯერი იქნება, შესთავაზეთ მას ვარიანტები. შენ აპირებ მორევას… თუ აპირებ დაჭრას?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთე მზარეულის ქუდი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის ორი ეგზემპლარი ყველა იმ მონაწილესთვის, ვისაც უნდა მზარეულის ქუდის გაკეთება.

თქვენ აპირებთ მზარეულის ქუდის ერთად გაკეთებას.

1. დაეხმარეთ ბავშვს ხაზზე გაასწოროთ ქაღალდის ბოლოების ორი ნაწილი (ტექსტით ზემოთ).
2. აჩვენეთ ბავშვს როგორ წაუსვას წებო ერთ ბოლოში და შესაერთებლად დაადოთ ერთმანეთს ორი ნაწილი.
3. მოატრიალეთ შეერთებული გვერდები და გადაკეცეთ შუა ხაზის გასწვრივ.
4. დაეხმარეთ ბავშვს ყოველი ხაზის გასწვრივ გაჭრაში, რომელიც აღინიშნება როგორც „2. გაჭერით“
5. დაახვიეთ ქაღალდი, გაჭერით მისი ზედა მხარე ბავშვის თავის გარშემო, დაამთხვიეთ და მჭიდროდ მოარგეთ კიდეები.
6. დაამაგრეთ წებოვანი ლენტით.
7. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს ინსტრუქციები თითოეული მონაწილესთვის.
8. დაიტოვეთ თქვენი ქუდები შემდეგი აქტივობისთვის.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი
- წებო
- წებოვანი ლენტი

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მარტივ ინსტრუქციებს; მაგალითად: წაუსვი წებო ამის გასწვრივ. გადმოატრიალე. გაჭერი ხაზზე.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ყოველი ქუდის გაკეთებისას, აწყობის ყოველ პუნქტში ბავშვი მოისმენს ერთი და იგივე ინსტრუქციებს. ისინი დაიწყებენ მოქმედებების თანიმდევრობის პროგნოზირებას და ეს დაეხმარება მათ ფრაზებისთვის მნიშვნელობის მინიჭებაში. ეძებეთ შესაძლებლობები, რომ მოახდინოთ ახალ სიტყვებზე აქცენტირება, მაგალითად: შეაერთე კუთხეებიერთად. დაკეცე მეორე მხარეს. გაჭერიხაზის გასწვრივ.

ყურადღებით მოუსმინე: მას შემდეგ, რაც მისცემთ ბავშვს ინსტრუქციებს და ვიდრე დაამატებთ ვიზუალურ მინიშნებებს, მიეცით დრო მოსაფიქრებლად, იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს ინფორმაციის გადამუშავება მოსმენის გზით, ხოლო როდესაც მისთვის ცნობილი ხდება მოქმედების თანიმდევრობა, მას შეეძლება დამოუკიდებლად მიჰყვეს ინსტრუქციებს. შეაერთე ორი ნაწილი (დაელოდეთ). (დაელოდეთ). ახლა წაუსვი წებო კიდეზე. (დაელოდეთ). გადმოატრიალე. (დაელოდეთ). ახლა დაკეცე მეორე მხარეს. (დაელოდეთ). ახლა გაჭერი ხაზის გასწვრივ.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს ზმნა + ქაღალდი, მაგალითად: დააწებე ქაღალდი, გადაატრიალე ქაღალდი, გაჭერი ქაღალდი.
- იყენებს თანდებულებს: -ზე, გასწვრივ, ერთად.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: მიაწოდეთ ბავშვს მიმართულების სწრაფი მოდელი, რომელსაც უნდა მოუსმინოს, ზმნისგან შემდგარი ფრაზების გამოყოფით. შემდეგ კვლავ გაიმეორეთ, იმისათვის, რომ ბავშმა დააკოპიროს და გადასცეს თავის მშობელს/აღმზრდელს მითითებები. ამჯერად მიეცით ბავშვს ფრაზის მინიშნება, შეჩერდით და დაელოდეთ რომ მან დაასრულოს ბოლო სიტყვა. დაიმახსოვრე, ახლა ჩვენ უნდა დავკეცოთ გვერდები. უთხარი დედას რომ მან უნდა…

საბოტაჟი: როდესაც მოვა დაჭრის დრო, მიაწოდეთ ბავშვს წებო ან წებოვანი ლენტი. ამით წარმოიქმდება სიტუაცია, სადაც ბავშვს პრობლემის გადასაჭრელად დასჭირდება კომუნიკაცია. პრობლემის გადაჭრისას, მოახდინეთ თანდებულზე აქცენტირება თქვენი სალაპარაკო ენის მოდელში. ოჰ, როგორც ვხედავ შენ უნდა გაჭრახაზის გასწვრივ და არა დააწებო.

მოსალოდნელი შედეგები

- როლურ თამაშში იყენებს სალაპარაკო ენას.

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: მას შემდეგ რაც ყველას გეხურებათ თქვენი ქუდები, დაიწყეთ წარმოსახვითი თამაში მზარეულის როლში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ვითომ ჯამში ურევთ წარმოსახვითი კოვზით და ჭრით წარმოსახვითი დანით ან აბრტყელებთ ცომს ან რეცხავთ ბრინჯს. თამაშის დროს დაამატეთ მარტივი ენის მოდელები. როდესაც ბავშვის ჯერი იქნება, შესთავაზეთ მას ვარიანტები. შენ აპირებ კოვზით მორევას თუ აპირებ დანით დაჭრას?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. გააკეთე მზარეულის ქუდი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის ორი ეგზემპლარი ყველა იმ მონაწილესთვის, ვისაც უნდა მზარეულის ქუდის გაკეთება.

თქვენ აპირებთ მზარეულის ქუდის ერთად გაკეთებას.

1. დაეხმარეთ ბავშვს ხაზზე გაასწოროთ ქაღალდის ბოლოების ორი ნაწილი (ტექსტით ზემოთ).
2. აჩვენეთ ბავშვს როგორ წაუსვას წებო ერთ ბოლოში და შესაერთებლად დაადოთ ერთმანეთს ორი ნაწილი.
3. მოატრიალეთ შეერთებული გვერდები და გადაკეცეთ შუა ხაზის გასწვრივ.
4. დაეხმარეთ ბავშვს ყოველი ხაზის გასწვრივ გაჭრაში, რომელიც აღინიშნება როგორც „2. გაჭერით“
5. დაახვიეთ ქაღალდი, გაჭერით მისი ზედა მხარე ბავშვის თავის გარშემო, დაამთხვიეთ და მჭიდროდ მოარგეთ კიდეები.
6. დაამაგრეთ წებოვანი ლენტით.
7. წაახალისეთ ბავშვი გაიმეოროს ინსტრუქციები თითოეული მონაწილესთვის.
8. დაიტოვეთ თქვენი ქუდები შემდეგი აქტივობისთვის.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3
- მაკრატელი
- წებო
- წებოვანი ლენტი

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება რთულ ინსტრუქციებს; შეაერთე გვერდის კიდეები.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ყოველი ქუდის გაკეთებისას, აწყობის ყოველ პუნქტში ბავშვი მოისმენს ერთი და იგივე ინსტრუქციებს. ისინი დაიწყებენ მოქმედებების თანიმდევრობის პროგნოზირებას და ეს დაეხმარება მათ მიმართულებებისთვის მნიშვნელობის მინიჭებაში. ეძებეთ შესაძლებლობები, რომ მოახდინოთ ახალ სიტყვებზე აქცენტირება,

ყურადღებით მოუსმინე: მას შემდეგ, რაც მისცემთ ბავშვს ინსტრუქციებს და ვიდრე დაამატებთ ვიზუალურ მინიშნებებს, მიეცით დრო მოსაფიქრებლად, იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს ინფორმაციის გადამუშავება მოსმენის გზით, ხოლო როდესაც მისთვის ცნობილი ხდება მოქმედების თანიმდევრობა, მას შეეძლება დამოუკიდებლად მიჰყვეს ინსტრუქციებს. შეაერთე გვერდის კიდეები. წაუსვი წებო ბოლოზე. გადაშალე გვერდები და გადაკეცე კიდეები. გაჭერით ყოველი ხაზის გასწვრივ.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს რთული ზმნისგან შემდგარი ფრაზების გამოყენებით; მაგალითად: გადაშალე გვერდები და გადაკეცე კიდეები.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი დასრულება: მიაწოდეთ ბავშვს მიმართულების სწრაფი მოდელი, რომელსაც უნდა მოუსმინოს, ზმნისგან შემდგარი ფრაზების გამოყოფით. შემდეგ კვლავ გაიმეორეთ, იმისათვის, რომ ბავშვმა დააკოპიროს და გადასცეს თავის მშობელს/აღმზრდელს მითითებები. ამჯერად მიეცით ბავშვს ფრაზის მინიშნება, შეჩერდით და დაელოდეთ რომ მან დაასრულოს ბოლო სიტყვა. დაიმახსოვრე, დასაწყისში უნდა შევაერთოთ მოკლე კიდეები. უთხარი დედას რომ მან უნდა…

საბოტაჟი: დამალეთ წებო ან მაკრატელი. ამით წარმოიქმდება სიტუაცია, სადაც ბავშვს პრობლემის გადასაჭრელად დასჭირდება კომუნიკაცია.

მოსალოდნელი შედეგები

- როლურ თამაშში ფიგურალურად იყენებს სალაპარაკო ენას.

ძირითადი სტრატეგია

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: მას შემდეგ რაც ყველას გეხურებათ თქვენი ქუდები, დაიწყეთ წარმოსახვითი თამაში მზარეულის როლში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ვითომ ჯამში ურევთ წარმოსახვითი კოვზით და ჭრით წარმოსახვითი დანით ან აბრტყელებთ ცომს ან რეცხავთ ბრინჯს. მოუწოდეთ ბავშვს შემოგიერთდეთ და აჰყვეს სხვებს. აქტივობაში ბავშვის ჩართულობის წასახალისებლად, უფრო მეტად გააკეთეთ კომენტარები, ვიდრე დაუსმევთ კითხვებს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩემი სამზარეულო დ1 დ2 დ3 ა3

3. გააკეთე მზარეულის ქუდი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

აქტივობა

4. მზარეულის საქმეები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ქუდის ბარათები და დაალაგეთ შეკვრად.
ამოჭერით საკვები და ზმნების კამათელი.

თქვენ აპირებთ აქტივობის ერთად წარმართვას, რომ დაფაროთ ქუდებით ყველა სურათებიანი მატები „გაჭერი“, „გარეცხე“ .

1. წებოვანი ლენტის მეშვეობით ააწყეთ ბავშვთან ერთად საკვებისა და ზმნების კამათელი. დაწებების პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე.
2. დადეთ გაჭრის და გარეცხვის მატები შუაში, სადაც ყველას შეეძლება მათი დანახვა.
3. გააგორეთ ზმნის კამათელი ისე, რომ ჩაგორდეს ფეხსაცმლის კოლოფში. თქვით რა მოქმედება უნდა იპოვოთ მატზე.
4. გაწიეთ მეორე მატი.
5. გააგორეთ საკვების კამათელი და თქვით რა საკვები უნდა იპოვოთ.
6. დაახურეთ მზარეულის ქუდი იმ კონკრეტულ საკვებს.
7. რიგრიგობით გააგორეთ კამათელი, ჯერ ზმნა, მერე საკვები.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 ამოჭრა
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 გარეცხვა
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 ქუდები
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 საკვები
- ჩემი სამზარეულო d1 a4 ზმნები
- წებოვანი ლენტი
- ფეხსაცმლის ყუთი.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ზმნებს: დაჭრა, გარეცხვა
- ითვისებს ერთ საგანს: საკვები; მაგალითად: ბანანი, ქათამი, სტაფილო.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ფეხსაცმლის კოლოფის მეშვეობით თქვენ შეგეძლებათ დამალოთ სურათი ბავშვის თვალთახედვიდან მანამ, სანამ მასზე საუბრობთ. სანამ აჩვენებთ კამათელზე არსებულ სურათს, ნახეთ, რამდენჯერ შეგიძლიათ თქვათ ფრაზა, რომელიც მთავრდება ზმნაზე ან საკვებზე. ამჯერად ჩვენ უნდა გავჭრათ. შეგიძლია იპოვო"გაჭრა"? დედა, დაგვეხმარე ვიპოვოთ "გაჭრა". აი, ეს არის რაც ჩვენ გვჭირდება: "გაჭრა". ყოჩაღ! შენ იპოვე"გაჭრა". (წაახალისეთ ბავშვი რომ კიდევ ერთხელ მოისმინოს სიტყვა ნახვის შემდეგ)

მოსალოდნელი შედეგები

- გამოთქვამს ერთ ზმნას: გაჭრა/გარეცხვა.
- გამოთქვამს ერთ საკვებ პროდუქტს: ბანანი, ვაშლი, სტაფილო, კიტრი, ქათამი, ძეხვი.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც ბავშვის ჯერია გააგოროს კამათელი, შესთავაზეთ სალაპარაკო ენის მოდელი, რომელიც შეესაბამება მის აზრებს. ოჰ, შენ გააგორე "გარეცხვა" ახლა უნდა იპოვო "გარეცხვა". და ეს გადადე. შეგიძლია გააგორო საკვების კამათელი. ოო, შენ შეგხვდა ბანანი. უთხარი დედას იპოვოს ბანანი.

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: მიაწოდეთ ბავშვს სალაპარაკო ენის მოდელი დაუყოვნებლივ, სანამ ბავშვი თვითონ ეცდება გამოთქვას იგი, ხოლო მისი მცდელობის შემდეგ კვლავ დაუყოვნებლივ მიაწოდეთ ის, რითაც წაახალისებთ ბავშვს, რომ შეადაროს თქვენი და მისი ნათქვამის ჭღერადობა. ამით დაეხმარებით განავითაროს საკუთარი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი, ანუ მექანიზმი, რომელსაც ის დროთა განმავლობაში გამოიყენებს საკუთარი საუბრის გასასწორებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: კამათელის გაგორებისას, დატოვეთ ის ყუთში და დახარეთ ისე, რომ ბავშმა ვერ დაინახოს. თქვენ შეძლებთ სურათზე საუბარს, რადგან თქვენ მას ხედავთ. წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, აღნიშნოს, რომ ის ვერ ხედავს კამათელს, ასე რომ არ იცის რა არის სურათზე გამოსახული; მან უნდა მოგისმინოთ. ამით ბავშვს ეხმარებით განავითაროს <u>გონების თეორიის</u> უნარი, რომ დანახვა და მოსმენა ადამიანებს ეხმარება ინფორმაციის სწავლაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. მზარეულის საქმეები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ქუდის ბარათები და დაალაგეთ შეკვრად.
ამოჭერით საკვები და ზმნების კამათელი

თქვენ აპირებთ აქტივობის ერთად წარმართვას, რომ დაფაროთ ქუდებით ყველა სურათებიანი მატები "გაჭერი", "გარეცხე", "მოამზადე".

1. წებოვანი ლენტის მეშვეობით ააწყეთ ბავშვთან ერთად საკვებისა და ზმნების კამათელი. დაწებების პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე.
2. დადეთ გაჭრის, გარეცხვის და მომზადების მატები შუაში, სადაც ყველა შეძლებს მათ დანახვას.
3. დაარიგეთ მზარეულის ქუდები.
4. გააგორეთ ზმნის და საკვების კამათელი ისე, რომ ჩაგორდეს ფეხსაცმლის კოლოფში და თქვით, თუ რა უნდა გააკეთოს მზარეულმა.
5. დაახურეთ მზარეულის ქუდი იმ კონკრეტულ საკვებს, სწორი ზმნის მატზე.
6. რიგრიგობით გააგორეთ კამათელი ფეხსაცმლის კოლოფში.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 ა4 ამოჭრა
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 ა4 გარეცხვა
- ჩემი სამზარეულო d2 d3 ა4 მომზადება
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 ა4 ქუდები
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 ა4 საკვები
- ჩემი სამზარეულო d2 d3 ა4 ზმნები
- წებოვანი ლენტი
- ფეხსაცმლის ყუთი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: ზმნა+ საკვები; მაგალითად: გაჭერი ვაშლი, გარეცხე სტაფილო.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ფეხსაცმლის კოლოფის მეშვეობით თქვენ შეგეძლებათ დამალოთ სურათი ბავშვის თვალთახედვიდან მანამ, სანამ მასზე საუბრობთ. სანამ აჩვენებთ კამათელზე არსებულ სურათს, ნახეთ, რამდენჯერ შეგიძლიათ თქვათ სიტყვების კომბინაციები (ზმნა + საკვები). ამჯერად ჩვენ დავჭრით ძეხვს. დედა, შეგიძლია მომაძებნინო ძეხვის დაჭრა. ჩვენ უნდა დავახუროთ ქუდი ძეხვის დაჭრას.

მოსალოდნელი შედეგები

- გამოთქვამს ზმნას + საკვებს; მაგალითად: მოამზადე ქათამი.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი:როდესაც ბავშვის ჯერია გააგოროს კამათელი, შესთავაზეთ სალაპარაკო ენის მოდელი, რომელიც შეესაბამება მის აზრებს. ოჰ, შენ გააგორე "გარეცხვა" ნეტავ რა უნდა გავრეცხოთ. შეგიძლია გააგორო საკვების კამათელი. ოო, შენ შეგხვდა ბანანი. უთხარი დედას გარეცხოს ბანანი.

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:მიაწოდეთ ბავშვს სალაპარაკო ენის მოდელი დაუყოვნებლივ, სანამ ბავშვი თვითონ ეცდება გამოთქვას იგი, ხოლო მისი მცდელობის შემდეგ კვლავ დაუყოვნებლივ მიაწოდეთ ის, რითაც წაახალისებთ ბავშვს, რომ შეადაროს თქვენი და მისი ნათქვამის ჭღერადობა. ამით დაეხმარებით განავითაროს საკუთარი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი, ანუ მექანიზმი, რომელსაც ის დროთა განმავლობაში გამოიყენებს საკუთარი საუბრის გასასწორებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე:კამათელის გაგორებისას, დატოვეთ ის ყუთში და დახარეთ ისე, რომ ბავშმა ვერ დაინახოს. თქვენ შეძლებთ სურათებზე საუბარს, რადგან თქვენ მათ ხედავთ. წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, აღნიშნოს, რომ ის ვერ ხედავს კამათელს, ასე რომ არ იცის რა არის სურათზე გამოსახული; მან უნდა მოგისმინოთ. ამით ბავშვს ეხმარებით განავითაროს გონების თეორიის უნარი, რომ დანახვა და მოსმენა ადამიანებს ეხმარება ინფორმაციის სწავლაში. ნეტავ ამჯერად რა უნდა გავაკეთოთ? ხედავ? მე ვერ ვხედავ. რა საკვებია ეს? ჯერ უნდა მოვისმინოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. მზარეულის საქმეები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ქუდის ბარათები და დაალაგეთ შეკვრად.
ამოჭერით საკვებისა და ზმნების კამათელი.

თქვენ აპირებთ აქტივობის ერთად წარმართვას, რომ დაფაროთ ქუდებით ყველა სურათებიანი მატები "გაჭერი", "გარეცხე", "მოამზადე".

1. დაწერეთ სესიაში მონაწილე ადამიანების სახელები (ან დახატეთ მათი სახეები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ამოცნობა) მონაწილეების კამათელზე. ორჯერ გამოიყენეთ ადამიანების გამოსახულებები და ორივეს დააწერეთ "სახელები".
2. წებოვანი ლენტის მეშვეობით ააწყეთ ბავშვთან ერთად ადამიანების, საკვებისა და ზმნების კამათელი. დაწებების პროცესში ისაუბრეთ თითოეულ სურათზე.
3. დადეთ გაჭრის, გარეცხვის და მომზადების მატები შუაში, სადაც ყველა შეძლებს მათ დანახვას.
4. დაარიგეთ მზარეულის ქუდები.
5. გააგორეთ სამი კამათელი ისე, რომ ჩაგორდეს ფეხსაცმლის კოლოფში და თქვით რას აჩვენებს. მაგალითად: მამამ უნდა დაჭრას ძეხვი.
6. გამოძახებულმა ადამიანმა უნდა დაახუროს მზარეულის ქუდი იმ კონკრეტულ საკვებს, სწორი ზმნის მატზე.
7. რიგრიგობით გააგორეთ სამი კამათელი ფეხსაცმლის კოლოფში.

რესურსები

- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 ამოჭრა
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 გარეცხვა
- ჩემი სამზარეულო d2 d3 a4 მომზადება
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 ქუდები
- ჩემი სამზარეულო d1 d2 d3 a4 საკვები
- ჩემი სამზარეულო d2 d3 a4 ზმნები
- ჩემი სამზარეულო d3 a4 ადამიანები
- წებოვანი ლენტი
- ფეხსაცმლის ყუთი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: ადამიანი + ზმნა + საგანი. მაგალითად: დედამ უნდა გარეცხოს ვაშლი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ფეხსაცმლის კოლოფის მეშვეობით თქვენ შეგეძლებათ დამალოთ სურათები ბავშვის თვალთახედვიდან მანამ, სანამ მათზე საუბრობთ. კარგი, მე ამომივიდა მამა, მომზადება და ქათამი. ესეიგი ეს ნიშნავს; მამამ უნდა მოამზადოს ქათამი. კარგი, ეს არის მამა, ეხლა დაახურე ქუდი ქათმის მომზადებას.

მოსალოდნელი შედეგები

- გამოთქვამს ადამიანის + ზმნის + საგნის კომბინაციას; მაგალითად: დედამ უნდა გარეცხოს კიტრი.
- იყენებს მოდალურ ზმნას: უნდა

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი:როდესაც ბავშვის ჯერია გააგოროს კამათელი, შესთავაზეთ სალაპარაკო ენის მოდელი, რომელიც შეესაბამება მის აზრებს. ოჰ, შენ გააგორე "მამა". ნეტავ რა უნდა გააკეთოს მამამ. გააგორე საქმეების კამათელი. ოო, შენ შეგხვდა მომზადება. მოდი ვნახოთ რა უნდა მოამზადოს მამამ. გააგორე საკვების კამათელი. ოო, ნახე რა სასაცილოა, მამამ უნდა მოამზადოს ბანანი. "ამოიკითხე" საქმე. მამამ უნდა მოამზადოს ბანანი.

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:მიაწოდეთ ბავშვს სალაპარაკო ენის მოდელი დაუყოვნებლივ, სანამ ბავშვი თვითონ ეცდება გამოთქვას იგი, ხოლო მისი მცდელობის შემდეგ კვლავ დაუყოვნებლივ მიაწოდეთ ის, რითაც წაახალისებთ ბავშვს, რომ შეადაროს თქვენი და მისი ნათქვამის ჭღერადობა. ამით დაეხმარებით განავითაროს საკუთარი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი, ანუ მექანიზმი, რომელსაც ის გამოიყენებს საკუთარი საუბრის გასასწორებლად.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს პროგნოზირებას და საუბრობს იმაზე, თუ რას ხედავენ ან ვერ ხედავენ ადამიანები.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: კამათელის გაგორებისას, დატოვეთ ის ყუთში და დახარეთ ისე, რომ მოსაუბრემ დაინახოს სურათები. ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ ხედავს და ვინ ვერ ხედავს სურათებს. ამით ბავშვს ეხმარებით განავითაროს გონების თეორიის უნარი, რომ დანახვა და მოსმენა ადამიანებს ეხმარება ინფორმაციის სწავლაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. მზარეულის საქმეები



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00104 1.0